# კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## განკარგულება №4

## 2024 წლის 16 თებერვალი

## კასპი

### კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სადგურ მეტეხში სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდების მინიჭების თაობაზე

კასპის მუნიციპალიტეტის მერი, 2024 წლის 7 თებერვლის წინადადებით, შუამდგომლობს საკრებულოს წინაშე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ 2024 წლის 2 თებერვლის №23893 მომართვის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სადგურ მეტეხში სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდების მინიჭების თაობაზე.
საქრთველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ 2024 წლის 2 თებერვლის №23893 მომართვის საფუძველზე, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. მიენიჭოს კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სადგურ მეტეხში სახელწოდების არმქონე ქუჩებს სახელწოდებები დანართი №1-ის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

**საკრებულოს თავმჯდომარე** **შოთა ბეგლარაშვილი**

| № | ადმინისტრაციული ერთეული | დასახლების სტატუსი | დასახლების დასახელება | გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება (სახელობით ბრუნვაში) | გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება (ნათესაობით ბრუნვაში) | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: 1-ლი | 1-ლი ქუჩა | 1-ლი ქუჩის გაგრძელება |
| 2 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ჩიხი: 1-ლი ქუჩის I | 1-ლი ქუჩის I ჩიხი | |
| 3 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ჩიხი: 1-ლი ქუჩის II | 1-ლი ქუჩის II ჩიხი | |
| 4 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: მე-10 | მე-10 ქუჩა | |
| 5 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: მე-11 | მე-11 ქუჩა | |
| 6 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: მე-12 | მე-12 ქუჩა | |
| 7 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: მე-13 | მე-13 ქუჩა | |
| 8 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: მე-14 | მე-14 ქუჩა | |
| 9 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: მე-15 | მე-15 ქუჩა | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: მე-16 | მე-16 ქუჩა | |
| 11 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: მე-8 | მე-8 ქუჩა | |
| 12 | მეტეხი | სოფელი | სადგური მეტეხი | ქუჩა: მე-9 | მე-9 ქუჩა | \ |